# ნიანგი

გამომცემლობა „კომუნისტი". თბილისი.
№15-16
1944 წ.
ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბერლინის „პოლიკლინიკაში"

ნახ. ა. კანდელაკისა




— მაშ თქვენ წელკავსა და სახსრების მტვრევას უჩივით პოლკოვნიკო? გამიგონია, ყირიმის ჰავა უხდება ასეთ ავადმყოფობასო.

— ნუ გამახსენებ... სწორედ ყირიმმა გამიჩინა ეს ტკივილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეღვა

### ახალი სახელწოდება

**პლოეშტი.** ოდესიდან გამოქცეულ ანტონესკუს სახელობის რუმინულ დივიზიას ახალი სახელი ეწოდა – მოკურცხლესკუ.

### ახალი ანატომიაში

**იასა.** გერმანელ გენერალ მანშტეინს, რომელიც უკრაინის ფრონტს ხელმძღვანელობდა, უკან შეუწყვეტელი რბენის გამო, ორივე ფეხი დაუგრძელდა. მოსალოდნელია ამ დამსახურებასთან დაკავშირებით მისი ახალი დაჯილდოება „ფიურერის“ მიერ.

### „გულადები“

**ბერლინი.** „ფიურერის“ საკუთარი თავშესაფარის კედლებს ყოველდღიურად ამაგრებენ. მხედველობაში აქვთ ჰიტლერის სიტყვა: „სადაც ჩვენ გავმაგრდებით, იქიდან ვერავინ გამოგვდევნისო“.

### წინდახედული

**პლოეშტი.** რუმინელ ჯარების „ბრწყინვალე გამარჯვებების“ გამო, ანტონესკუმ ბრძანება გასცა მზად იქონიონ მის განკარგულებაში თვითმფრინავი – საჭირო შემთხვევაში ნეიტრალურ ქვეყანაში გასაფრენად.

### დაეუფლენ თეორიას

**ბუქარესტი.** ამ დღეებში უკრაინიდან გაქცეული გენერალი მანშტეინი გერმანიის სამხედრო ნაწილებისათვის რადიოთი გადასცემს ლექციას შემდეგი სათაურით: „ჩექმა და მისი გახდის მნიშვნელობა წითელი არმიის კავალერიის გამოჩენის მომენტში უკან გამოქცევის დროს“.

## გოდება ჰიტლერისა და ანტონესკუსი

**ანტონესკუ**

— მითხარ, მითხარ ფიურერო,
სადღა არის შენი ძალა?
ნუ თუ შენი რეზერვები
ასე მალე დაიცალა?

შენგან მოძღვნილ ყირიმიდან
დაგვრჩა მხოლოდ მოგონება,
მაგიერად ჩვენ დავტოვეთ
უთვალავი იქ ქონება.

**ჰიტლერი**

— მომითმინე, ანტონესკუ,
საპასუხოდ არ მცალია,
რაც მაცვია შარვალს შიგნით
ახლად გამონაევალია.

ჩემს რეზერვებს ნუ ეხები,
შენს ტყავს ჩემი მირჩევნია,
წამხდარხართ და ერთხელ თავი
არსად გამოგიჩენია.

**ანტონესკუ**

— ფიურერო, რასა ბრძანებთ,
ნუ გვამცირებ რუმინელებს,
ჩვენ ვიბრძოდით თქვენს წინ, – სისხლით
საბჭოეთის ვრწყავდით ველებს.

როცა უკან გამოვრბოდით,
გვახვედრებდით ცეცხლის გრიგალს.
ჩვენ თუ „ვაი“ მოგვიწია,
შენც ხომ „უი“ სახლში მიგაქვს?

**ფარნა ქვემეხაური**

## ბრიყვებს მშრალი დარჩათ ხახა

გერმანელი, ნაცისტი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ომამდე შეეცადნენ საზღვარგარეთ შეენახათ თავიანთი პირადი სიმდიდრე. ამერიკის ხელისუფლებმა გადასწყვიტეს ის სიმდიდრე გამოიყენონ ნაციონალური კეთილდღეობის ინტერესებისათვის.

*გაზეთებიდან*

ნაცისტებსაც ჰქონდათ ჭკუა
თუმცა მოკლე, ვითა ცხოველს:
საზღვარგარეთ ინახავდნენ
ოქროს და ნივთს, ძვირფასს ყოველს.

თუმც სათვალოდ დიდის რიხით
ფიურერსა უდგნენ გვერდით,
მაგრამ გრძნობდნენ, რომ ფაშიზმი
განწირული იყო ბედით.

და ფიქრობდნენ: „ის შეგვრჩება,
რასაც ეხლა ვიყოჩაღებთ,
მერე წავალთ საზღვარგარეთ,
სხვა ცხოვრებას გავაჩაღებთ.

გადანახულ ნაძარცვებით
ჩვენ ვეწევით შვება-ლხენას,
ფაშიზმი, რომ დაიღუპვის,
შევსძლებთ სხვაგან გადაფრენას.“

მაგრამ ჭკუა ვერ მოიგეს,
ბრიყვებს მშრალი დარჩათ ხახა:
ამერიკამ მათ დოლარებს
სხვა მიზანი დაუსახა.

**მ. გრიგალიძე**

## აქა ამბავი რუმინეთის „შავი ზღვის“ იმპერიისა

ნახ. დონისა




1.

გაბერილი საპნის ბუშტი რომ გინახავთ იმფერია
ანტონესკუს „გაბეღილი“ რუმინეთის იმპერია.
მაინც სჯერა დიქტატორს, რომ მისი ს[illegible] კვდავია,
რადგან „ტახტი“ დიქტატორის მტკიცე ძარღვებს უკავია.



2.

მაგრამ უცებ იმ მარჯვენამ „რაღაც ძალით“ უმტყუნა და
ანტონესკუს „მტკიცე“ ტახტი შეტორტმანდა, გადაქანდა.
„რუმინეთის იმპერიის“ საამაყო გასკდა ბუშტიც
და ალსასრულს შიშით ელის ანტონესკუს სახე კუშტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაბლობიდან მატარებელი მთებში შეიჭრა. კრამიტიანი ოდებით, პატარა ბაღვენახებით და სიმინდის ყანებით მოქარგული იმერეთის ლამაზი მთები, ბნელი ბრუნვა-ტრიალით მიცურავენ ჩვენს თვალწინ. ვაგონის ფანჯარასთან ვზივართ მე და ჩემი ძველი ნაცნობი კირილე, რომელიც ზესტაფონში დაჯდა მატარებელში. ვზივართ და მხიარულად ვსაუბრობთ.

— რა ლამაზია ეს იმერეთი! — წამოვიძახე ალტაცებით, როდესაც ფანჯრიდან დავინახე მაღალ კლდეზე ამართული და ხუჭუჭა ხეებში ჩამალული ციხედარბაზის ნანგრევები.

— სილამაზე არ აკლია, — მიპასუხა კირილემ და ციხეს თვალი გააყოლა, რომელმაც თითქო თავზე გადაგვიარა, —შიგ არაფერი ყრია თვარა!

— როგორ? ბუნება მშვენიერი, ხალხი მხიარული, ჭირში და ლხინში ერთნაირად უდარდელი.

— ეგ, იცოცხლე! რაც არ უნდა გაჭირვებაში ჩავარდეს, ადვილად იტანს ჩვენებური კაცი ყველაფერს.

კირილე შეჩერდა, ჩაიცინა, მერე თვალებში შემომხედა და განაგრძო:

— ახლა ჩემი უბედურების ამბავი უნდა გიამბო. ეს კი ვიცი ჩემო აკაკი, რომ რასაც გეტყვი დაწერ და ჩემს ამბავს ქვეყანას გააგებინებ, მაგრამ მაინც უნდა გიამბო, რაც მე, თავს გადამხდა.

ახლა თუ ძმა ხარ მითხარი, ფრონტზე წასულ კაცს, ჩვენი სამშობლოსათვის მებრძოლ ადამიანს რომ ცოლს წაართმევ, სასიცოცხლო ხარ? არა ხარ. შენ გგონია სხვა ვინმეს ვეუბნები ამას? ჩემ თავს ვეუბნები.

შენ უჩა მარგველაძე არ გეცოდინება. არა? იმაზე გეუბნები. იმისთანა ყმაწვილი კაცი, ხომ იცი, ჩვენს რიადაგეზე არ დაიარება. ოფიცერია. ორი წელიწადი ფრონტზე იყო. იმას ერთი ქვემოური ქალი ჰყავდა შერთული ცოლად. შესახედავად მართლა კარგი. ასე ამბობდნენ, რო თხოულობდა თურმე, ქალის მშობლები თავპატიჟს იდებდნენ და უარზე იდგნენ. წუნობდნენ თავის ჭკუით სასიძოს.

ერთი წლის შერთული არც ქე ჰყავდა ის ქალი, ომი რო დაიწყო. უჩა ფრონტზე წაიყვანეს. დარჩა ეს ქალი სახლში. არც შვილი ყავს. არის მარტო. ერთი გადაყრუებული დედაბერი უდგია ყარაულათ და ეგ არის სულ. რაცხა უბედურათ გავიცანი. ავუარე, ჩავუარე. მომეწონა. თან გული მისკდება შიშით. ქმარი ფრონტზე ყავს, რო დაბრუნდეს—მერე რავარი ვაჟკაცი—სადღა მიდიხარ. თან სოფლის მეშინია ხომ იცი ამისთანა საქმე სოფელში არ დაიფარება. მერე უჩას მოგვარეები იმისთანა ბიჭები არიან, რომ წაუხვალ სადმე თუ? ჩვენს გვარს შეურაცხყოფას აყენებენო, თუ გაგიგეს, ისე გაგაქრობენ, რომ მოგნახავს ვინმე? ამ ქალს ვხვდები, ვუცინი, მიცინის, მაგრამ თან შიშის ქარები მივლის. სულ აქეთ-იქეთ ვიხედები, არვინ დამინახოს. ერთი გული მეუბნება, ნუ შვები კირილე მაგ საქმეს, ქალის მეტი რაა ამ ქვეყანაზე. უჩა რო არ დაბრუნდეს, სოფელი მოგთხოვს პასუხს. მერე სად მიდიხარ? მარა... ქალი, ჰე!.. თუ ქალმა მოინდომა ძმაო, ყველაფერს ჩაგადენინებს თურმე შემაყვარა თავი მარა რაფერ! მე ვთქვი მომკლას უჩამ თუ მოკლავს და ამ ქალის ხელიდან გამშვები არა ვართქვა დავავლე ხელი და შევირთე ცოლათ. ღამე გამოვაპარე სახლიდან და მოვიყვანე ჩემს სოფელში. ასე გასინჯე, ქორწილის მაგვარი რაცხაც კი მოვაწყე. თურმე რა გიხარია შე უბედურო.

ერთი კვირა არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ამ ბედნიერ ცხოვრებას შევუდექი, რომ რაღაცა საქმეზე ზესტაფონში ჩამოვედი. საქმე მქონდა პატარა. ახლა აღარ იტყვი რანაირათ მომაქვს თავი! ცა ქუდათ არ მიმაჩნია და დედამიწა ქალამნად. ბიჭოს, ხუმრობაა?! ქალი წავართვი, მარა ვის! რაფერ ვაჟკაცს. ქალი, მარა რა ქალი, რძე და ღვინოსავით ულვივის ლოყები. ვაი ჩემს ჭკუას უბედურს.

რაცხა უბედურად სადგურზე წავედი. გავიარე, გამოვიარე, დარბაზში შევედი, ბუფეტს მივაშურე, საუზმე მინდა ვჭამო, იმისთანა საუზმე მიეცა შენს მტერს. ადგილზე გავქვავდი.

უჩა დგას გამოწკეპილი, მხრებზე ოქროს პაგონები უბზინავს. გარშემო ხუთი თუ ექვსი ახალგაზრდა ვაჟკაცი შემოხვევია, ძმაბიჭები. დგას უჩა და ჩაის ჭიქა უჭირავს ხელში. სვამენ.

თურმე ჩამოსულა და მე რა ვიცი. ერთი კი დამკრა შიშმა თავში. დიდი ვაჟკაცი შენც ქე იცი არა ვარ და მაშინ ხომ მთლად წავხდი. აბა უშველე კირილე თავს თუ ბიჭი ხარ თქო და იცოცხლე ვიკადრე უკან გაბრუნება. სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან, რავა არი შოთა რომ ამბობს? მამაცზე თუ ამას იტყვიან, ჩემისთანა გლახაკს მით უფრო არ დაშვენდებოდა გაცლა? იცოცხლე შევბრუნდი და მოვუსვი მაგრამ...

— კირილე, მოდი აქ. — დაიჭექა ჩემს უკან უჩამ. შენც არ მომიკვდე, გამჩერებელი ვარ?!

— ბიჭო, ქალი ახლა შევირთე, სიცოცხლე და ბედნიერება მწყურია, მინდა ერთი ორი დღე ვეთამაშო ცხოვრებას და ასე უცაბედათ გავაფუჭებიო თავი? მოვუსვი მარა რა მოვუსვი. თან გუნებაში ვფიქრობ, ღმერთო იმისთანა ბედნიერი გამხადე, ახლა უცბათ გამომაღვიძე და ყველაფერი სიზმრად გადამიქციე მეთქი. პირდაპირ ერთი მელიის არ იყოს, ისე მემართება, ხაფანგში რო გაება და თავი მოიმძინარა იქნება სიზმარი იყოსო.

ხუთი ნაბიჯი არ მექნებოდა გადადგმული, მომგვარეთ აქო დაიძახა უჩამ და ზესტაფონელ ბიჭებს შენ გაექცევი? ხუთი დამეწია. რომ დამავლეს ქინჩში ხელი, ცინდალივით ამიტაცეს და მიმიყვანეს უჩასთან. გეუბნები, შიშით კინაღამ ტანისამოსში გავქვერი. შევხედე, ნასვამია.

— წამართვი ცოლი ხომ?—გადმომიბრიალა თვალები უჩამ და წაიღო იარაღისკენ ხელი.

ვაი შენს კირილეს. რა ფერზე ვიქნებოდი, შენც იცი.

— უჩა. ძმობას გეფიცები...—ვამბობ, მაგრამ ეს ხმა მაინც რამ დამილია და გამიწვრილა ასე. ნემსის ყუნწში გავაძვრენ—უჩა, ძმობას გეფიცები...

— რომელ ძმობაზე მელაპარაკები,—შემაწყვეტინა უჩამ,—ცოლი წამართვი, ეგაა შენი ძმობა? ბიჭებო!—მოუბრუნდა უცბათ უჩა მეგობრებს.

მოვიხედე, მთელი დარბაზი ხალხითაა სავსე და ყველა ჩვენ გვიცქერის.

— ბიჭებო, ეს კაცი მჯობია რითიმე? ერთი შემომხედეთ. მჯობია?

— რა ბრძანებაა,—უპასუხა ვიღაც ცნობისმოყვარე თეთრწვერა მოხუცებულმა, რომელიც იქვე შორიახლო იდგა და ჩვენ გვიცქეროდა—მაგას რავა უტოლებ, შვილო, თავს!

— ჰო და ამ კაცმა ცოლი წამართვა და რა ეკუთვნის ამისთანა კაცს ჩემო ბიძია? — მოუბრუნდა მოხუცებულს უჩა.

გაგონილი მქონდა: ერთხელ თურმე აფრასიონ ჩერკვილაძემ ცხრაასხუთში, კვირადღის ჯარობაზე მამასახლისი ააყუდა ეკლესიის კედელთან და ხალხს ჰკითხა, რა ეკუთვნის ამასო. სიკვდილიო, უპასუხა ხალხმა. თუ აგრეა ვასრულებ თქვენს განაჩენსო დაიძახა აფრასიონმა და მამასახლისი იქვე დააჯვრეტინა თავის რაზმელებს. ახლა გამახსენდა ეს ამბავი და თითქო ჩემთვის კისერში დოქით ცივი წყალი ჩაესხათ, ისე წამოვიდა ცივი ოფლი. ბიჭო, რო დაიძახოს ვინმემ სიკვდილი ეკუთვნისო, რამდენი სულელია ქვეყანაზე რა იცი, რო დაიძახოს რას აპირებ მერე? ერთი კი თქვას შეიძლება უჩამ, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო და გათავდა ჩემი საქმე.

— რა ეკუთვნის?

ხალხი ჩუმათაა.

— ეგ გლახა საქმე უქნია შვილო,—სთქვა იმავე ბერიკაცმა,—ეგ გლახა საქმე უქნია მარა...

— რა ეკუთვნის? სიკვდილი არ ეკუთვნის ჩემი ხელით? ეკუთვნის ხომ? მიყურეთ ახლა.

დამავლო უცებ ხელი უჩამ, გადამეხვია და გადამკოცნა.

ერთი კი აირია ყველაფერი ჩემს თვალწინ. ახლაც აღარ მახსოვს სად ვიყავით მაშინ. ჰო! სადგურის ბუფეტში. რა შესახედავი ვიქნებოდი. ამიტყდა სულელური სიცილი. ვდგევარ ხახადაფჩენილი: ვეე... ვე... ვყროყინებ უშნოთ ამ ალაია ხალხში და ახლა რომ მაგონდება, მოვეკალი ჯობდა. მოვისპე. გავნადგურდი კაცი.

— ჰა. ნუ გეშინია, მოკიდე ამას ხელი, — მითხრა უჩამ, ცარიელი ჩაის ჭიქა მომაწოდა, შიგ ბოთლი ჩააყუდა, თითქო მთელ ბოთლს ამ ჭიქაში უპირებდა ჩაცლას—შენ იმისთანა პატივი მეცი, რომ მაგას როგორ დავივიწყებ. ფრონტზე განგებ ვუშვერდი შუბლს ტყვიას, როცა წარმოვიდგენდი, რომ მაგ ქალი ისევ უნდა დამხვედროდა სახლში. ახლა ჩემს მხსნელს ასე გაგიშვებ? ბიჭო,—გასძახა მებუფეტეს,—ექვსი ბოთლი თავის რამეროუმეებით. ჩქარა!

ერთი სიტყვით რაღა გავაგრძელო, იმ დღეს გავთრიაქდით ორივე.

— იქ კი გადაურჩენილხარ ჩემო კირილე, მაგრამ ნუთუ მართლა ასეთია შენი ახლად შერთული ცოლი?—ვკითხე მე.

კირილემ ხელით მანიშნა, მაგ განა საკითხავიაო და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. მატარებელი აღმართში მიდიოდა და ჩვენს თვალწინ ისევ მიცურავდნენ იმერეთის ლამაზი მთები.

— მე იმაზე ვსკდები გულზე — ამოიოხრა კირილემ.—თურმე უჩა ფრონტზე წასვლამდე გაცილებია ცოლს, მარა ქალი არ იცვლიდა ფეხს და თითონ უპირებდა ქმარს თავის სახლიდან გაგდებას. მერე მთელ სოფელს გაუგია, რომ იმ ქალთან საქმეს ვიჭერდი, მაგრამ განგებ ხმას არ იღებდნენ. ეგება გვეშველოს და ეს ქალი ამ სოფელს მოაშოროსო. ხასიათი აქვს იმისთანა, რომ შენს მტერს. მე ხომ რაც დღეში ვარ, ვარ, მაგრამ ახლა მთელი ჩემი მეზობელი მოსახლეები აპირებენ აყრას, ამ დედაკაცის გაძლების თავი ჩვენ არა გვაქვსო. სასჯელი ამაზე უკეთესი არ შეიძლება ჩემთვის, მარა ღირსი ქე ვარ.

— თუ აგრეა გასცილდი.

კირილემ გეზათ გადმოხედა და ჩაიცინა.

— კაცო, იმისთანა ვაჟკაცი ვერ გაექცა სანამ მე არ გავუჩნდი მხსნელად და მე მოვახერხებ რამეს? არ მოგიკვდეს კირილე, მაგის თავი არ მქონდეს.

**აკაკი ბელიაშვილი**

---

## პროგნოზი

**ნახ. დ. რიონელისა**



— ძმისგან წერილი მივიღე პარიზიდან ერთი თვის შემდეგ ფიურერი აღმოსავლეთის ფრონტზე გადაგზავნას გვპირდება.

— ერთი თვის შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტი დასავლეთში მოექცევა და გადაყვანაც აღარ დასჭირდება.

# ფეხი მწამს, ბოლო მაკვირვებს

წითელი არმიის მიერ კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში გერმანელთა ათი დივიზიის განადგურების შემდეგ, ჰიტლერელები ავრცელებენ ყალბ ხმებს, თითქოს მათ დივიზიებს წითელი არმიის გარემოცვიდან თავი დაეღწიოთ. გერმანიაშიც ამ ამბებს აშკარა უნდობლობით ხვდებიან.

(გაზეთებიდან)

ნახ. ე. მაკაშვილისა



გებელსი (მოქალაქეთა კრებაზე) ჩვენმა ათმა დივიზიამ წითელი არმიის გარემოცვიდან უვნებლად თავი დააღწია, რასაც დამიმოწმებს ეს ჩვენი გმირი გენერალი ბატონი ბლერტენბურგი.

მოქალაქე — გვჯერა, ბატონო მინისტრო, თვით გენერალი დამამტკიცებელ ნივთიერ საბუთს წარმოადგენს.

# ღამე ბერჰტესგადენში

ერთმოქმედებიანი ტრაგედია

(ჰიტლერის სასახლე. დარბაზი თავშესაფარში. „ფიურერის" დაახლოებულნი თამაშობენ კარტს და სვამენ კონიაკს. თვით ჰიტლერი ცალკე წევს ტახტზე და სთვლემს).

**ერთი მოთამაშეთაგანი** — ფიურერი ვგონებ კვნესის...

**მეორე** — ნუ ღელავთ. ის ყოველთვის ჰყვირის ძილში. ითამაშეთ. სვლა თქვენია.

**ადიუტანტი** — ფიურერს მაღალი ტემპერატურა აქვს. ის ბორგავს. გადმოვდივარ ტუზს.

**მესამე მოთამაშე** — გავსჭერი თქვენი ტუზი. თქვენ წააგეთ.

**ჰიტლერი** — (ილვიძებს და წამოხტება) — ჩვენ წავაგეთ? სად.

(ყველანი შეკრთებიან, ერთმანეთს დაბნეულად უცქერენ).

**რიბენტროპი** — დამშვიდდით, ეს შეეხებოდა კარტის თამაშს. თქვენ გარემოცული ხართ...

**ჰიტლერი** — (ისევ წამოიყვირებს) — ჩვენ გარემოცულნი ვართ?

**რიბენტროპი** — მე მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ ირგვლივ გახვევიათ ერთგული მეგობრები. მე უცაბედად წამომცდა არასასიამოვნო სიტყვა...

(ჰიტლერი ისევ ჩასთვლემს და კვნესის).

**ჰიმლერი** — (მრისხანე ჩურჩულით) — მე ვგონებ თქვენ მოგეცით ინსტრუქცია ერთხელ და სამუდამოდ. არის ისეთი სიტყვები, რომელიც არ უნდა იხმაროს ნაცისტმა და გერმანელმა. თქვენთვის, რიბენტროპ, ზედმეტი არ იქნებოდა დაგეზეპირებინათ ისინი. ეს სიტყვები შეადგენენ დაახლოებით მხოლოდ ორმოცდაათ პროცენტს გერმანული ლექსიკონისა. არ შეიძლება ვიხმაროთ სიტყვები: „გარემოცვა", „რკალის შემოკრტყმა", „გადაჭრა" და სხვა. გასაგებია?

**რიბენტროპი** — ყველაფერი გასაგებია. მაპატიეთ. მითხარით კიდევ რა არ შეიძლება ვთქვათ.

**ჰიმლერი** — არსებითად რომ ვთქვათ არაფრის თქმა არ შეიძლება. უმჯობესია სვათ კონიაკი, იყოთ ჩუმად, ითამაშოთ კარტი.

**ჰიტლერი** — (ილვიძებს) წაიკითხეთ, კურტ, მანშტეინის უკანასკნელი ცნობები.

**ოფიცერი** — (წამოხტება) — გისმენტ, ფიურერ! უკრაინის სამხრეთით ჩვენი ჯარი ელასტიურად ასწორებდა და ამოკლებდა თავდაცვის ხაზს. კარპატების რაიონში დაიკავა რამოდენიმე შესანიშნავი მაღლობი...

**ჰიტლერი** — სად?

**ოფიცერი** — კარპატების რაიონში...

**ჰიტლერი** — კარპატები განა უკრაინაა?

**ოფიცერი** — ა... რა... ეს რამდენიმედ უფრო ახლოა ჩვენთან... (ჩამოვარდება სიჩუმე).

**ჰიტლერი** — გადაეცით მანშტეინს, რომ ის დეგენერატია, იდიოტია. რიგიანი ცნობების შედგენაც კი არ შეუძლია. როგორ შეიძლება კარპატების ხსენება, რას იფიქრებენ მასები.

**რიბენტროპი** — ფიურერ, თქვენ ხომ იცით, მასები არა ფიქრობენ, მათ მაგიერ ჩვენ ვფიქრობთ.

**ჰიტლერი** — თვით მე რა უნდა ვიფიქრო? მე მანშტეინის რელიაციები მყუდროებას მირღვევენ, მართმევენ ინტუიციის ძალას. ეშმაკმა იცის რას ჩამადენინებს...

**ჰიმლერი** — (ჩუმად) — იწყება ახალი ქშნედა. (ხმამაღლა) ფიურერ, ნება მიბოძეთ დავუკრათ პატეფონი. მუსიკას კარგი გავლენა აქვს თქვენს გენიალურ ინტუიციაზე.

**ჰიტლერი** — დაუკარით.

**რიბენტროპი** — ჩვენი გენიალური ვაგნერი — ლოენგრინის „გამოსალმება".

**ჰიტლერი** — არ მინდა, არ მინდა გამოსალმება, სიკვდილი, დაუკარით რაიმე სამხიარულო.

**რიბენტროპი** — მაშინ საუცხოო გერმანული ლირიკა შუმანის რომანსი „რისთვის?"

**ჰიტლერი** — მე ხშირად ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს „რისთვის?.." და მუსიკაშიაც იგი მოვისმინო არ შემიძლია... არ მინდა. დაე ყველანი წავიდნენ აქედან. მე მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე მაქვს გამოსარკვევი. რიბ, შენ დარჩი. (ყველანი გადიან).

**ჰიტლერი** — რიბ, მოდი ერთი კარტი გავშალოთ... ვიმკითხაოთ... მე მწამს ბედი... თუმცა...

**რიბენტროპი** — თუმცა... მან ზურგი გვაქცია.

რიმა კანდელაკი

# პარტიზანის ნაამბობი

ყირიმელ პარტიზანთა ერთი ჯგუფი, რომელშიც მე ვიმყოფებოდი, ტყეში იყო დაბანაკებული დასახლებულ ადგილებიდან კარგად დაშორებით. სურსათ-სანოვაგისათვის მორიგეობით მივდიოდით სოფელში.

ერთხელ როცა მე მხვდა წილად წასვლა, გზაზე სოფლის ახლოს ამეკვიატა ერთი რუმინელი სპეკულანტი, გამეცნო და დამიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ მარჯვედ აკეთებდა კომბინაციებს და როგორ მდიდრდებოდა როცა ირგვლივ სიმშილი და სიღატაკე სუფევდა. თან, რადგან შემნიშნა გერმანელი არ ვიყავი, გერმანელებსაც მაგრად შეუკურთხა. ბოლოს წინადადება მომცა ერთად გაგვეთია ღამე.

— ხედავთ, უკვე ღამდება, მოდით ერთად გავათიოთ ღამე, მე კიდევ ბევრ სასაცილო ამბებს მოგიყვებით ჩემი თავგადასავალიდან.

მისი წინადადება ჩემთვის, რაღა თქმა უნდა, მიუღებელი იყო. მე ჩემი საქმე მქონდა და ის არამზადა მოლაყბე ვინ იცის რა ხიფათს შემამთხვევდა თუ ვერ მოვახერხებდი მის თავიდან მოშორებას. ამიტომ ხერხს მივმართე და მის წინადადებაზე ასე ვუპასუხე:

— ძალიან კარგი იქნება თუ ერთად დავბინავდებით. თქვენ რევოლვერი ხომ გაქვთ?—შევეკითხე მისთვის მოულოდნელად.

— არა, მე არ მაქვს რევოლვერი, მაგრამ რა საჭიროა, რისი გეშინიათ?—შემეკითხა რუმინელი სპეკულანტი.

— არა კი არ მეშინია,—ვუპასუხე მე,—მაგრამ საჭიროა წინდახედულება. აქ მე ყველანი მიცნობენ, როგორც გესტაპოელს, არა ერთი და ორი ოჯახი ამიწიოკებია. ცხადია, ყველას ვძულვარ, და ვინ იცის, როცა დავიძინებ პარტიზანებს აცნობონ და უსიამოვნება შეგვახვედრონ, მაგრამ ნუ გეშინიათ მე ზედმეტი რევოლვერი მაქვს და თქვენც შეგაიარაღებთ. პარტიზანები ვერაფერს დაგვაკლებენ!

რუმინელს შიშის ჟრუანტელმა დაჰკრა, უცებ ფერი ეცვალა. ეტყობოდა პარტიზანებთან შეტაკების პერსპექტივა მაინცდამაინც არ იტაცებდა. დაღონდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ მხიარულად მომმართა:

— მოდი ჩვენ ასე ვქნათ, რაკი გიცნობენ, თქვენ აქ დამიცადეთ დაღამებამდე, მე შევარჩევ ბინას და როცა შეღამდება მოგაკითხავთ და წაგიყვანთ, თანაც ვახშამს მოვამზადებინებ. ხომ კარგი იქნება?—შემეკითხა ეშმაკური ღიმილით.

— ძალიან კარგი იქნება.—ვუპასუხე მე, რადგან აშკარა იყო, რომ ფაფისი ჭკუით ის მე მატყუილებდა და ჩემთან დაბრუნებას აღარ აპირებდა.

წავიდა და ლანდ ით გაჰქრა. არა თუ ჩემთან დაბრუნება, ვგონებ, იმ სოფელშიაც აღარ მოუცდია.

მურმანი

# მხედარი და საჰედარი ანუ

ნახ. დონისა



თანამშრომლობა ღერძის სახელმწიფოთა მიხედვით.

# „უძლეველი არმიის" სარდალი

ნახ. გ. ისაევისა



გუშინ ოდესამ მაკენსა, ყირიმზე ცრემლის მთოველი, გადამხდა გადასავალი, აჰა უარესს მოველი.

ნიანგის ესტრადა

# ბილეთები აღარ არი...

კვირა დილით, ჩემი ბიჭით
თეატრისკენ გავეშურე,
ხალხში გავძვერ და ბილეთის
მე აღებას დავეშურე.

მოლარე კი სალაროში
ფულებს თვლიდა მომღიმარი,
გადმომხედა, მომაძახა:
— ბილეთები აღარ არი...

გამოვბრუნდი და კარებთან
ვიღაც ბიჭმა მტაცა ხელი:
— თქვენ რომელი ბილეთი გსურთ,
იარუსი თუ პარტერი?!

მე შეძენა ვცადე, მაგრამ
თითქოს დამკრეს თავში კეტი,
რადგან თითო დამიფასეს,
რაც ღირს მასზე ათჯერ მეტი.

გაგულისდა, ამიყვირდა,
გამიბრაზდა ჩემი ბიჭი
კინოსაკენ გავეშურეთ
იმედით და ჩქარი ბიჯით.

იქაც, კინოს შესასვლელი
საბურთალოს ბაზარს ჰგავდა,
დირექტორმა მომაძახა:
— ბილეთები გაგვითავდა...

იქვე გადამყიდველების
ჯგუფი იდგა როგორც ჯარი:
— თქვენ სალარო შეგეშალათ,
ბილეთები ჩვენთან არი...

დამიფასეს, მაგრამ იმ ფასს
ვით ასწევდა ჩემი ჯიბე?
ცირკისაკენ გავეშურეთ,
დავითვალეთ მისი კიბე...

მაგრამ ცირკის დირექციამ
პატივი გვცა ჩვენ ამგვარი
განცხადება გამოაკრეს:
— ბილეთები აღარ არი...

რა ვქნა ახლა? გამოვედით,
გულზე ცეცხლი მეკიდება,
ბილეთები? რამდენიც გსურთ,
დასტა-დასტად იყიდება.

გზაში ბიჭი მომყვებოდა,
და მის ცრემლებს ჩუმად ვთვლიდი,
მითხრა: — მამა, ახლო კვირას
მაინც ბილეთს ხომ იყიდი?

ვუპასუხე: — არა, შვილო,
ჯიბის პრინციპს ნუ შევლახავთ,
ასეთ დირექციის ხელში
ჩვენ გართობას ველარ ვნახავთ...

კ. გოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომია — [illegible]

(სატირა ერთ აქტად)

ამბერკი (სარემონტო კანტორის უფროსი. კაბინეტში ზის და რუკას ათვალიერებს)—ესეც ასე... ამ ქალაქიდან გერმანელები განდევნილია, აქ მდინარე გადალახულია... ესე იგი ახლა იერიში უნდა იქნას მიტანილი ამ მდინარის ნაპირზე... არაფერია, აქაც კისერს მოვტეხავთ საზიზღარ ფაშისტებს... (მოსცილდა რუკას. დადის გაჯავრებით)—ჰმ, როგორ მოგწონთ. ა! ამ არნახული ომის ვითარებაში, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი მობილიზებულ მდგომარეობაშია, ზოგიერთები მაწუხებენ წვრილმანი საქმეებისათვის, რომლებსაც უშუალო კავშირი არა აქვთ ფრონტის ინტერესებთან...

(შემოდის ალექსანდრე)

**ალექსანდრე**—მე., ამხანაგო ამბერკი, პატარა საქმე მქონდა თქვენთან.

**ამბერკი**—არავითარი პატარა საქმე! მიბრძანდით. პატარა საქმეებისათვის მიმართეთ მდივანს.

**ალექსანდრე**—კი მაგრამ...

**ამბერკი**—არავითარი მაგრამ! მიბრძანდით. ჰო, რაო, არ მოგწონთ არა! ომი გახლავთ ყმაწვილო, ომი... ჩვენ ახლა უნდა გვაინტერესებდეს თუ რა მდგომარეობაა ფრონტებზე და არა შინაური პატარა საქმეები...

**ალექსანდრე**—მე, ამხანაგო ამბერკი. რედაქციიდან გახლავართ და თუ შეიძლებოდა...

**ამბერკი**—როგორ ბრძანეთ? რედაქციიდანო?! ღმერთო ჩემო, რატომ თავიდანვე არ სთქვით. ხომ კინაღამ გარეთ გაგაგდეთ! დაბრძანდით, გთხოვთ უმორჩილესად... დასწყევლოს ეშმაკმა. ისე ამიშალა ნერვები ამ ომის საკითხებმა, რომ მგონი ზრდილობაც გადამავიწყა... არა, მაგ სკამზე ნუ დაჯდებით, აქეთ დაჯექით, უფრო რბილია... აი, ბატონო, რას ნიშნავს ომი! ახლა როდესაც მთელი ჩვენი ხალხი დარაზმულია ფაშისტი კანიბალების წინააღმდეგ, თითოეული ჩვენგანი უნდა იდგეს რუკასთან და ანალიზს უკეთებდეს საომარ ოპერაციებს. (მიდის რუკასთან) აი დახედეთ, გუშინ ჩვენ მტერი გავანადგურეთ აი ამ მდინარესთან... აი ხომ ხედავთ ამ მდინარეს...

**ალექსანდრე**—ბოდიში, მე სულ სხვა საქმეზე ვარ მოსული.

**ამბერკი**—არ მესმის რა შეიძლება იყოს ამაზე სერიოზული საქმე დღეს, ამ ისტორიაში ჯერ არნახული ომის სიტუაციაში,..

**ალექ.**—კარგი იქნება თუ მომისმენთ.

**ამბერკი**—აბა ცოტა ჩქარა სთქვით, თორემ დრო სრულებით არ მაქვს.

**ალექ.**—რა მდგომარეობაშია ბინების კაპიტალური რემონტის საქმე?

**ამბერკი**—გთხოვთ ჩასწეროთ. კაპრემონტები ჩვენ სავსებით შევაჩერეთ.

**ალექ.**—რატომ შეაჩერეთ?

**ამბ.**—როგორ თუ რატომ! განა ამ ისტორიაში ჯერ არნახული ომის ვითარებაში შეიძლება კაცმა იფიქროს ინდივიდუალური კეთილმოწყობის საკითხებზე და ანგარიში არ გაუწიოს იმ გარემოებას, რომ გამხეცებული ფაშისტები ჩვენს ქვეყანას თავს დაესხნენ მუხანათურად?

**ალექ.**—მაგრამ თქვენ ხომ გადმოგირიცხეს სათანადო თანხები!

**ამბ.**—რა ვუყოთ რომ გადმომირიცხეს! ჩვენ მას ერთ კაპიკსაც არ მოვაკლებთ. მე ძლივს შევძელი ჩემი სიმამრის სახლის შეკეთებაც კი... ახლა ომია. ჩვენი ადგილი რუკასთანაა. რემონტს ყოველთვის მოვასწრებთ. (კარზე აკაკუნებენ) ვინ ოხერია, რომ ხელს გვიშლის მუშაობაში ამ გაცხარებული ომის პერიოდში.

(შემოდის სახლთმმართველი სონია)

— რა გნებავთ?

**სონია**—მე ამხანაგო ამბერკი...

**ამბერკი**—„მე" თხამ იცის. სთქვი რაც გინდა.

**სონია**—მთელი წელია მოვდივართ სახურავის შეკეთების შესახებ.

**ამბერკი**—ერთი უყურეთ რაებს როშავს! თქვენ ამხანაგო სონია, იცით თუ არა, რომ ჩვენი ქვეყანა ისტორიაში არნახულ ომს აწარმოებს ფაშისტი კანიბალების წინააღმდეგ!

**სონია**—თქვე დალოცვილო, ომს რა კავშირი აქვს სახურავთან!

**ამბ.**—ამხანაგო, თქვენ იცით რა მდგომარეობაა ახლა ბოლივიაში!

**სონია**—როგორ არ ვიცი, გაზეთს არ ვკითხულობ თუ!

**ამბ.**—იცით რა ხდება იუგოსლავიაში, დანიაში. ნორვეგიაში?

**სონია**—ყველაფერს ვკითხულობთ, ნუ გეშინიათ.

**ამბ.**—ჰო და, მიბრძანდით, დროს ნუ წაგვართმევთ. ომია, ომი, გაიგეთ!

**ალექს.**— (სონიას) უკაცრავად, სად მდებარეობს ეს სახლი?

**სონია**—ორხევის ქუჩაზე № 17-ში. ისეა ბატონო, სახურავი დაგლეჯილი, რომ კატებსაც კი ვერ გაუვლიათ ზედ,—შიგ ვარდებიან.

**ამბ.**—(განრისხდა) ესღა მაკლია ახლა, რომ კატებისათვის ვიზრუნო! ქალბატონო, თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ ამ გიგანტური ომის ვითარებაში ჩვენ დრო არ გვაქვს ვიზრუნოთ დაგლეჯილი სახურავების შეკეთებისათვის, რათა მათზე კატებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად იარონ!

**ალექს.**—არა, კატები აქ არაფერ შუაშია.

**ამბ.**—მეც იმას არ ვამბობ! რა შუაშია აქ კატები... (სონიას) მიბრძანდით ამხანაგო, აი გათავდება ომი და მერე შემოიარეთ. (შემოდის მეეზოვე ვართანა)

— თქვენ რაღა გნებავთ!

**ვართან**—ხაზეინჯან, ერთი პატარა საქმისთვის მოვსულვარ.

**ამბერკი**—პატარა საქმისათვის, ამხანაგო, მიმართეთ ჩემს მდივანს.

**ვართან**—ჩვენს უბანში ეზოები ნაგვით აივსო.

**ამბერკი**—მერე რატომ არ გაიტანთ!

**ვართან**—ვა, როგორ უნდა გავიტანოთ, როცა ტრანსპორტს არ იძლევით!

**ამბერკი**—ტრანსპორტს არ სცალია ნაგვის სათრევად ამ გაცხარებული ომის დროს, მიბრძანდით.

**ვართან**—ვა, ტრანსპორტს თუ ნაგვისთვის არ სცალია, მაშ რისთვის სცალია... წალკიდან კარტოფილის ჩამოსატანად ხომ სცალია?

**ამბერკი**—რა ველაპარაკო ასეთ შეუგნებელ ნადირს, როცა ისიც კი არ იცის, რომ ავტომანქანა მე გავგზავნე არა წალკაში, არამედ ალბულაღში, სადაც ჩემი ცოლისძმა ცხოვრობს და საიდანაც ოცი ფუთი კარტოფილი ჩამოვიტანე თანამშრომლებისათვის; გამოდის, რომ ეს მასწავლის მე თუ სად ცხოვრობს ჩემი ცოლისძმა!

**ვართან**—თანამშრომლებისათვის კი არა პირდაპირ საკუთარ ბინაში მიიტანეთ. ბნელა?!

**ამბერკი**—ვართან, მოგხსნი სამსახურიდან მამა ნუ წამიწყდება. ჩაიგდე ენა მუცელში ამ უცხო კაცთან, ეს კაცი კორესპონდენტია, ამას მეტი კი არ ესმის: ჩამაგდებს გაზეთში და მერე სად წამიხვალ!

**ვართან**—ნაგავს რაღა ვუყოთ.

**ამბერკი**—ნაგავი იყოს თავის ადგილზე, ის მე ხელს არ მიშლის. თუ გინდათ გაიტანეთ.

**ვართან**—მე ხომ ცხენი არ ვარ, რომ ურემში შევება და გავიტანო. გიჟია!

**ამბერკი**—აბა მე ვყოფილვარ ვირი და ისღა მაკლია ურემში შემაბათ... წადით და შეასრულეთ ჩემი განკარგულება. ნაგავი დააგროვეთ ერთ კუთხეში და ომის დამთავრების შემდეგ გავიტანთ. ახლა კი მიბრძანდით. გამაგიჟებენ შეჩვენებულები, სრულებით არ უწევენ ანგარიშს საომარ ყაიდას, მათ არ აინტერესებთ არც ომის ვითარებაში შექმნილი დაძაბული სიტუაციები, არც ის, თუ სად იმყოფება ამჟამად იტალიის ყბადაღებული დუჩე ბენიტო მუსოლინი, რომელიც ჯერ კიდევ გასულ წელს გაიქცა გაურკვეველ მიმართულებით.

**ალექს.**—დიახ, დიახ, იგი გაიქცა გაურკვეველი მიმართულებით, ეს მართალია, მაგრამ ის მიმართულება, საითკენაც თქვენ მოგიხდებათ წაბრძანება უკვე საკმაოდ გარკვეულია.

**ამბერკი**—მე თქვენი არაფერი მესმის.

**ალექს.**—აი, წაიკითხავთ გაზეთში და ყველაფერს გაიგებთ. ბინების შეკეთების საქმე ჩაგიშლიათ, ავტომანქანას იყენებთ პირადი საჭიროებისათვის, დასუფთავების გეგმა ჩაგიფლავებიათ.

**ამბერკი**—გამოდის, რომ დაწესებულების უფროსებმა ოცი ფუთი კარტოფილი უნდა ზიდონ ალბულაღიდან საკუთარ ზურგით.

**ალექს.**—მაპატიეთ. მეტი დრო აღარ მაქვს. ხომ მოგეხსენებათ, ომია. (გადის)

**ამბერკი**—გაზეთში თუ ჩამაგდეს სულ დავიღუპები, მომხსნიან. მაგრამ ვერ მოგართვით. სანამ გაზეთში ჩამაგდებდეთ და მომხსნიდეთ, თვითონ შევიტან განცხადებას გამათავისუფლონ ოჯახური პირობების გამო. ვერ მოგართვით. (ჩქარა გადის)

(ფარდა)

**გ. გორმაღლელი**

---

## ნიანგი თელავში

**ნახ. დონისა**




— კარგი საქმეა დონორობა. მე რომ თელაველი არ ვიყო, დონორი ვიქნებოდი.

— მერე ვინ გიშლით? განა თელაველებს აკრძალული გაქვთ დონორობა?

— არ შეგვიძლია: სისხლი გვაქვს გამშრალი აქაური ტელეფონის სადგურის ცუდი მუშაობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვარმა უშველა

„უკანასკნელ დროს, ბევრი რუმინელი, რომელსაც მმართველ წრეებთან რაიმე კავშირი ჰქონდა, ცდილობს უცხოეთში გაქცევას, ხელისუფლების ნებართვის გარეშე“.

(გაზეთებიდან)

ნახ. ა. კანდელაკისა



მესაზღვრე ჯარისკაცი (მოქალაქეს) ვინა ხართ? თქვენი ხელობა?
მოქალაქე—გადამყიდველი..
მეს. ჯარისკაცი—გადამყიდველი? არა გაქვთ ნება...
მოქალაქე—რაო? ჩემი გვარი ანტონესკუა...
მეს. ჯარისკაცი—მიბრძანდით.

## ამხანაგო ნიანგო

### ოხუნჯი მოლარეების შესახებ

ამხანაგო ნიანგო, შენ იშვიათად მოგზაურობ კახეთისაკენ და, ცხადია, ბევრი საინტერესო შემთხვევა გრჩება გაუცნობელი. შენ მაგალითად, არ იცი, თუ რაჟენამახვილი ხალხია შერჩეული კახეთის რკინიგზის ზოგიერთ სალაროში. ზოგი მათგანი უთუოდ, აღიარებული უნდა იქნას თავისებურ „იუმორისტად“. ზოგჯერ ისე გრძნობიერად ოხუნჯობენ ხოლმე ეს დალოცვილები, რომ მსმენელები ხშირად ცრემლადაც კი იღვრებიან.

აი ნიმუში მათი მჭერმეტყველებისა:

სადგურ მელაანში გურჯაანიდან მატარებელი გამოსულია. თბილისისკენ მიმავალი მგზავრები სალაროს აწყდებიან. სალაროს კარი მაგრადაა ჩაკეტილი.

— გააღეთ,—ისმის მოუთმენელი ხმები და კაკუნი.

— ვინა ხარ მანდ, რა თავს იგდებ?—ისმის შიგნიდან მრისხანე ხმა.

— გააღე ამხანაგო, მატარებელი საცაა მოვა.

— რავქნა რომ მოვა?

— მოგვეცი ბილეთები.

— გიჟი ხომ არ ხარ, სადღაა ბილეთები?

— აბა მაშ რა უყავ?

— რა უყავ და გავყიდე.

— როგორ გაყიდე, ჯერ ხომ სალარო დაკეტილია?

— ერთი ამ ჭკუის კოლოფს უყურეთ: ისიც არ იცი რომ დაკეტილ სალაროში უფრო ადვილად თავდება ხოლმე?

— ეგ ოხუნჯობა საქმეს არ ეხება. უბილეთოდ რომ გვტოვებ, რა ვქნათ?

— რა ქნა და შედი უბილეთოდ, რევიზორი ოქმს შეგიდგენს, ჯარიმას გადაგახდევინებს, საგარეჯომდე ჩაგიყვანს და იქ ჩამოგაგდებს, როგორც უბილეთოს. ახლა იქიდან ვაზიანამდეც ასე ქენი, ვაზიანიდან—ნავთლუღამდეც ასე მოიქეც და თბილისშიც ჩახვალ.

ამ „მოსწრებულ“ დიალოგში მატარებელი შემოდის მელაანში. ატყდება ჩოჩქოლი, ხვეწნა-მუდარის შედეგად სალაროც გაიღება, ორიოდე მგზავრი თუ იშოვის ბილეთს—ისიც გაჭირვებით, უმრავლესობა მართლაც უბილეთოდ რჩება, ხოლო ამას მრავალთ უსიამოვნება, ზედმეტი ხარჯები და ცრემლებიც კი მოსდევს მგზავრების მხრივ.

მხედველობაში მიიღე ამხანაგო ნიანგო, რომ ასეთივე სცენები ხშირად ხდება საგარეჯოშიც, მაგრამ ეს, ასე ვსთქვათ, ერთგვარი „ხუმრობაა“, მოლარეთა ჰკუამხიარულობის გამოვლინება.

ჩამოიარე ამხანაგო ნიანგო, ამ ხუმარა ხალხთან შეხვედრა არ გაინტერესებს?

ვ. გიშელი

## სიმსუქნის ადგილი

„თბილისის ბაზრების კომიტეტების ზოგიერთი მუშაკი მეტად თავაშვებულად იქცევა და სამუშაო საათებს ქეიფში ატარებს.

(კორესპონდენციებიდან)

ნახ. დ. რიონელისა



— ნეტავი რამ გაასუქა ასე?
— იმან, რომ დღე და ღამე მუშაობს.
— მერე და ბევრი მუშაობა განა ასუქებს კაცს?
— საბაზრო კომიტეტში მუშაობს.
— ააა!...

# ორფეხა მეტეორები

ნახ. დონისა



ანტონესკუს და ჰიტლერის სრბოლის სისწრაფემ იასა ხულ მალე უკან დარჩებათ კიშინევი და იასა.

# „არიული" ანუ არეული ბუხჰალტერია

ნახ. დონისა

დიდი მსხვერპლის შედეგად გერმანელებმა შესძლეს სკალის რაიონში გარემოცვის რკალის გარღვევა მათი დივიზიის ნაშთების დასახსნელად.



— ალო! ალო! გავწიროთ კიდევ ათი-თხუთმეტი დივიზია და საიმედო გზა გვექნება გაყვანილი ჩვენი ერთი დივიზიის ნაშთების დასახსნელად.

# გაპამპულდი „ჭალის ჩიტო"...

ანტონესკუ შეურაცხყოფილია იმის გამო, რომ ბუქარესტის დაცვა ჰიტლერმა დააკისრა გერმანელ გენერალ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათქვამია ძველებისგან:
„ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო,
დიდ ქვაბშია არ ეტია,
პატარაში არ კმარიყო."

ვის ცემისგან თავი გიხურს,
გენატრება სიო გრილი,
ეს თქმულებაც, ანტონესკუ,
შენზედ არის გამოჭრილი.

აღვირახსნილ ნდომისაგან
გეკვრებოდა თვალზე ბინდი,
დნესტრის მხარეს არ კმარობდი,
კავკასიას შენად თვლიდი

და დღეს ბედმა ისე გიმტრო,
„ფიურერის" ამყოლ ძერას,
რომ ხღებენ სასაცილოთ
შენს წაბილწულ კარიერას.

გერგო ქექვა და კოპები...
ნატკენი გაქვს ვიცით გული,
რომ „მშობლიურ" ოდესიდან
გახდი პანლურამოკრული.

რუმინეთშიც ელვის მსგავსად
შემოიჭრა ჩვენი ჯარი,
შეგიმსხვრია პრუტის კიდე
და იასის ზღვარ-აბჯარი.

და ამ დროს კი „ფიურერმა"
ვის მონებდი, როგორც ხასა
და რომელმაც ერთგულება
ყმადქმნილს ისე დაგიფასა,

რომ თვით ქალაქ ოდესასაც
ანტონესკუ დაარქვა და
ხელში მოგცა დნესტრის მხარე,
როგორც საკუთარი ქადა,—

არ გაკმარა ქექვა, კოპი,
არ გაკმარა ბედის რისხვა
და შერცხვენილ—განამწარსა
ცეცხლზე ნავთი გადაგისხა.

რად ვერ მიხვდი, სვედამწვარო,
რომ შენი დღე ღამეს შობდა
და ჰიტლერიც თვალს გიბამდა
გულში იშკილს გიპირობდა?

დნესტრის მხარე მოგცა მაშინ,
დღეს კი ნაცემ ნაპანღურევს,
ქედმონგრეულს, ქექვისაგან
მილეულს და „დანაპურებს",

ბუქარესტსაც აღარ განდობს,
ვინც ოდესა გიფეშქაშა,
გაპამპულდი „ჭალის ჩიტო",
შენს „დიდებას" ვაშა! ვაშა!

მ—ზა

სარედაქციო კოლეგია.
Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги" რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49
ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1944 წ. 28/IV ამხ. ლ. 3. ბერთას საძ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი" ლენინის ქ. № 28. გამოც. № 9. შეკ. № 284. უე 06802